№ 186
პარასკევი, 2 სექტემბერი 1894

1877—1894

ივერია

№ 186
პარასკევი, 2 სექტემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებელად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ— 16 კაპ. შეოთხეზედ—8 კაპ.

გაზეთი დიო:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
0	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ბენიანა სოფიო გრიგოლის ასული, ბნაჟენა ელისაბედ გახტანგის ასული, თავადი გიორგი გახტანგის შე ბურამშვილები და ანნა გახტანგის ასული ბეჟანიშვილისა აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვლებასა პირველი ძეირფასის ქმრისას, ხოლო დანაჩენნი მამისას, დეისტვილეს სტატსკი სოგეტნაკის თავადის გახტანგის ბურამის ძის ბურამშვილისას, სთხოვენ მობრძანდენ პარასკევს, 2 სექტემბერს, მეექვსეშვილის სახლებში (მთაწმიდის ქუჩა, № 22,). მიცვალებულის გვამის ქვაშვეთის ეკლესიაში გასასვენებლად.

(1—1667—1)

კბილის ექიმი
ვ. ი. ჭიჭინაძე
(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4-გან 6 საათამდე.
რთული და ძნელ სადოსტაქრო საქმის, ოპერაციის დროს ისწრებს ექიმს ი. ელიაშვილს.

(4—1666—1)

დღეს, პარასკევს, 2 სექტემბერს ინგლისელ-ამერიკელი ცირკი გუბერტ კუკისა გაჰმართავს საცხენოსნო საუცხოო წარმოდგენას.
მონაწილეობას მიიღებს მოელი დასი, ბერეგოვე ეონგლერების მეფე ბ-ნი კლაუდე ცხენით და რუსი ბეგმსტატორი ეკეოლბრისტი სტეფენოვი.
დაწერილებით გამოცხადებული იქმნება ბროგრამაში და აფიშებში.
დასაწყისი საღამოს 8½ სასაზე
ადგილების ფასი ზომიერია
დირექტორი ბუნტატ კუკი
უფროსი გამგე ვოლდემარ სალამონსენი

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების მმართველობა ამით აუწყებს საყოველთაოდ, რომ ეს საზოგადოება 30 აგვისტოდგან გადაკადა სხვა სადგომში, გენერალ ტერ-ასტეფანოვის ნასახლარში, ერევნის მოედანზედ, სადაც წინად ტფილისის საგუბერნიო გამგეობა იმყოფებოდა.

(3—6—2)

ფელეტონი

* * *

ენახე სამშობლო ალეკვეკებული:
მოსაა და ბარსა ფერი ეცვალა,
თვით ლაჟვარდ ცასაც სულ სხვა სხეებით
ბეკშეებდა ლეთიური ძალა.

—

მარდად მჭეფარეს, ცელქსა რაინსა
მზისა სხეებნი გულში ჩაეკრიბა
და ამ სხეებით გატენებული
მდინარე ქვაბზედ კისკასით ხტება.

—

მტრის წინ ეხარული ამაკი ქედი
ცისკენ მიეშვრო ბაგრატის ტაძარს
და საქართველოს დიცა დიდებაზე,
ტრეფდით შესთხოვდა ზეცას მაცხოვარს.

—

ბეკლთს-კი, სადგურს წმიდა-წმიდათას,
თავი მდუმარედ ძირს დაეხარა,
თითქო მას გუშათს დაჭეარდნობიო
მიეწდომელი ცისა კმარა.

—

. იდგა მდუმარედ, მასს ეროვ-მარეს
ნასდი ბეკრეესა ბარს შემოჭეარედ
მაგრამ ცამდემა წმიდა ჯვარისა
ტაძრის გუშასაზე მზის სხეათ თრთოდა.

—

ენახე სამშობლო ალეკვეკებული:
მოსაა და ბარსა ფერი ეცვალა
და თვით ბეკლთა ის ნასდსა და ბეკრესს
შორს, შორს ჭეფანტეედ ცეფერი ძალა!..

განდეგილი

ქუთაისი, 28 აგვისტო.

ბლეხთაც მივაკეკრათ ყურადღება

(სასკოლო კომისიების საყურადღებოდ)

მას აქეთ, რაც ჩვენში სათავადაზნაურო სკოლები დაარსდა, სულ, ვგონებ, იმის პროგრამის შემუშავებასა და სხვა უკეთესის სახის სასწავლებლის ძებნაში ვართ. ხან სამეფო სკოლას ვამჯობინებთ, ხან-კი კლასსიკურ სისტემის, ესე იგი უკვე არსებულ სახის, დაცვას ვმოძღვრობთ, ხან-კი არც ერთზედ უარის თქმა არ გვინდა და სხვა-და-სხვა. მწერლობაშიაც ბევრნაირი აზრი წარმოითქვა ამ საგნის შესახებ. ჩვენის სკოლის საქმეს მეტადრე შარშან მიექცია საზოგადოების ყურადღება, რის გამოც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურობამ ცალკ-ცალკე კომისიები დანიშნა, რომელთაც, ამ საქმის საფუძვლიან და ყოველ მხრივ შესწავლის შემდეგ, თავიანთი აზრი უნდა გამოეთქვათ იმის შესახებ, თუ რა გვარი სკოლაა ჩვენთვის უფრო საჭირო. ამ კომისიებისა ჯერ-ჯერობით არაფერი ისმის და, როგორც გავიგეთ კერძოდ, ამ საგნის გარდაწყვეტას არცა სჩქარობენ, ერთის მხრით ამ დაგვიანებას საფუძველი აქვს. იმისთანა რთულ და საყურადღებო საგანს, როგორიც უველამ იცის, რომ გამოჯვნის სამართლის წესით, ყველას ნება აქვს დავა გამოაცხადოს, თუნდ მამული თავის დდეში მის ხელთ არ ყოფილიყოს და არა რაიმე სამართალი და საბუთი არ მიუძღოდეს. რა თქმა უნდა, სამართლის კარი არავის არ უნდა გამოეგულო და ყოველთვის და ყველასთვის დია უნდა იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში-კი მეტად ბოროტად ჭემარიტებენ ამ თავისუფლებას დავის გამოცხადებისას და თითქმის ყოველად დაუსჯელად.

ჩვენ ვამბობთ, ყოველად დაუსჯელად იმიტომ, რომ ტუეილ-უბრალო მოდავე, ტუეილ-უბრალოდ ახირებული კაცი, მარტო-ან მტრობით, ან ჯიბრით ხმალ ამოწვდილი მიესევა ხოლმე მართალს მფლობელს და პატრონს მამულისას და დავა-დარბაზს აუტეხს, რა არის, ვითომდა საქმე გაუძნელოს, მალე არ გაათავებინოს და მით ამოიუარის ჯავრი.

ვისაც თვალ-ყური უდევნებია გამოჯვნის საქმისათვის, ის შენიშნავდა, რომ საცა მიწათ-მზომელი ფეხს შესდგამს ხოლმე გასამოჯვნავდ, იქ იმისთანა მოდავენი წამოდგებიან, რომელნიც ფიქრადაც არავის გაუტარებია თავის დდეში. ამის გამო მამა-პაპეიდამ უდავო მამულსაც-კი დავა გამოუჩნდება ხოლმე, ხშირად სრულიად უსაბუთო და უსიფუძვლო.

კიდევ ვიტყვით, თუმცა ერთის მხრით თავისუფლება დავის გამოცხადედებისა არ უნდა იყოს შეზდუდულ, რადგანაც აქ ყოველივე შეზდუდვა გზას უდობავს კაცს დარდვეულის უფლების ადგდენისას, ჭ ეს შეუწყნარებელია კეთილად გაწყობილ სახელმწიფოსათვის, მაგრამ მეორეს მხრით ის ამბავი, რომ ტეშმარიტის უფლების პატრონი, ნამდვილის საბუთების მქონებელი არ არის მოსვენებული და გულდადინჯებული თავის მიმულში და რაკი გამოჯვნაა, ბთასი მოულოდნელი ტეუილ-უბრალო დავა მესაძლოა აეკვიატოს და მანამდე მშვიდობიანი მფლობელობა ენლეს თავ საცემად და სადავიდარაბოდ გაუხდეს, - არც ეს ამბავია იმისთანა რამ, რომ დირსი არ იყოს ყურადღებისა. ამ შემთხვევაში ტანჯულად და წამებულად გამოდის მართალი და მტეუნს-კი, ტუეილ-უბრალო მოდავეს არა აკლდებარა, რომ უდავო სადავოდ გახადა და მით მართალი ზარალში შეიყვანა მერე იმისთანა ზარალში, რომელსაც თვით არა ჭედავს.

აი რა აბრკოლებს გამოჯვნის საქმეებს, რომ ეკვე დაწეებულს ბოლო ადარა აქვს. ჩვენ არ ვიცით, ამ შემთხვევაში რა ეშველება საქმეთა სწრაფად მსვლელობას და როგორ უნდა მოესპოს კერძო კაცს უსაბუთოდ დავის ატეხა და მით გამოჯვნის საქმის დაყოვნება და დაგვიანება. შემოდებულ რომ იქნას ზარალის ზდვევა, იქნება ამან ცოტად თუ ბევრად ალაგმოს ტეუილ-უბრალო სიხარბით, ან მტრობით და ჯაბრით გამოწვეული დავა. იტყვიან, ეგეც შეზდუდვაა სამართლის კარისაო, მაგრამ იგი წესი, რომ მტეუანმა მართალს ზარალი უზდოს, ჯერ ათასჯერ ჩაფიქრებს მტეუანს და მერე ასე თუ ისე ამოქმედებს. აქ მარტო მართალი იქნება მოგებაში და სამართალს სხვა რა აქვს საგნად, თუ არ მართალის მფარველობა.

კერძო კაცის ავ-კარგიანობას ამ შემთხვევაში კიდევ ასე თუ ისე მოინელებს ადამიანი, რაკი სხვა გზა და წამალი არა მოიშოვება-რა. ხოლო ქვეყანამ არ იცის,—როგორ გაუძდვეს ხაზინის დავებსა. სახელმწიფო ქონების მოხელენი, რომელთ, რასაკვირველია, არ შეეწამება არც მტრობა და არც ჯაბრი ვისიმე, ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ სწავლა-განათლების საქმეა, შრომაც ბევრი უნდა და ხანგრძლივს, გულდასმულსა და მომწიფებულს განსჯას თხოულობს.

კომისიები რომ თავის მოვალეობას სინიდისიერად აასრულებენ, ამაში ეჭვი არავის არა აქვს. ამის იმედს გვაძლევს ის გარემოებაც, რომ ორსავე კომისიაში შეგნებული და გამოცდილი კაცები არიან ამორჩეულნი. ხოლო რომელიმე საზოგადო საგნის ეკეთ გამოკვეეისათვის, შეცდომების ასაცილებლად საჭიროა საქეეყნოდ გამოცხადება, საჯარო და არა ფარული მსჯელობა. ერთის ერთი აზრი შეეძლიან გამოსთქვას, მეორეს—სრულიად სხვა აზრი შეეძლიან გვამცნოს, მესამეს—კიდევ სხვა და ასე ამ სახით უფრო მალე დაადგება კაცი ეეშმარიტ გზას. მხოლოდ სხვა-და-სხვა აზრის შეჯახებას შეეძლიან დაჰბადოს ეეშმარიტება. ამ სხვა-და-სხვა აზრის გამოსამთაც, საცა გინდა და არ გინდა დავა უნდა გამოაცხადონ, თუ ჭსურთ საეკვეური არ მიიღონ სახელმწიფო ქონებათა მიმართ გულგრილობისა და დაუდევრობისათვის. ამის შიშით და იქნება ზოგჯერ მოწონების წეეურვილითაც, იგინი ეველგან, საცა გასამოჯნავად ფეხს შესდგმენ, თავს ამოჭე�ენ და დავას აცხადებენ.

ეს მით უფრო ეხერხება სახელმწიფო ქონებათა მართველობას, რომ წესნი სამართლისანი მისკენ არიან გადახრილნი, მას ხელს უმართვენ და შემწეობენ. ავიღოთ თუნდ ის შემთხვევა, რომ ხაზინა თუნდ გამტეუნდეს, ჯარიმასაც-კი არ იხდის, არამც თუ უზდოს რამე მართალს პატრონს მამულისას, რომელიც საქმის დაყოვნების გამო აუარებელ ზარალშია. რიგიანი სამართალი მარტო მაშინ არის, როცა ყველასათვის თანასწორია და თუ ცალკე კაცი სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯარიმას იხდის—როცა გამტეუნდება, რატომ ამისთანავე შემთხვევაში ხაზინა არ იხდის, თუნდ იმავ ჯარიმას სასარგებლოდ კერძო კაცისა. რაც უნდა იყოს, ცოტა-ოდენი შიში ჯარიმის გადახდისა თვითონ ხაზინას ჯერ ჩაფიქრდება, გადასინჯვინებდა თავის საბუთებს დავისას და ისე გამოაცხადებინებდა დავას, თუ გამოსაცხადებელი იქნებოდა. ამ გზით მრავალი უსაბუთო დავა ხაზინის მხრით თავისთავად მოშორდებოდა თავიდან სამართალსა და მამულების პატრონებსა და გამოჯვნის საქმეს სისწრაფე მოემატებოდა.

აკი ვამბობთ, თუ კერძო კაცისაგან ტეუილ-უბრალოდ დავების ატეხას არა ეშველება-რა, სახელმწიფო ქონებათა მართველობას ათასი სახსარი აქვს უთავ-ბოლო დავები მოსპოს და იქ სადავოდ არ ჩაერიოს, საცა წინადვე დანაწევეად-კი საჭიროა მრავალთა მონაწილეობა. რამდენადაც უფრო მეტი რიცხვი მსჯელობს საზოგადო საქმეში, იმდენად ხომ უფრო სასარგებლოა თვით ამ საქმის წარმატებისათვის, უკეთ გარდაწყვეტისათვის. ნათქვამია, ერთი ეკეთ კარგია, ხოლო ორი უკეთესიაო. ამიტომ, ჩვენის აზრით, ძლიერ კარგს იზამდნენ ეს კომისიები, რომ დროგამოშვებით მწერლობის საშუალებით აუწყებდნენ საქმის ყოველ საყურადღებო გარემოებას გარეშე საზოგადოებას, რითაც ამ უკანასკნელს საშუალება მიეცემა თვალი ადევნოს საქმის მსვლელობას და თვით მიიღოს მონაწილეობა მის აწონ-დაწონვაში, კომისიების მიერ წარმოდგენილ აზრების განსჯაში. ეგებ ამ გზით მაინც მოხერხდეს იმისთანა სკოლის დაარსება, რომელსაც უფრო მტკიცე ნიადაგი ექმნება და უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ეხლანდელი სკოლებია, თორემ მუდამ შე-

ხული და გამორკვეული საბუთი არ მიუძღვის. გამოცხადება სახელმწიფოსაგან დავისა, რასაკვირველია, ძნელია მიენდოს ერთს რომელსამე მოხელეს, თუ ნამეტნავად შემოდებულ იქნება ჯარიმა ხაზინისათვისაც, თუ იგი გამტეკუნდა. აქ საჭიროა კოლლეგია, რომელსაც მინდობილი უნდა ჭქონდეს, ჯერ მინამ დავას გამოაცხადებდეს სადმე, საქმეს საბუთები მოუჩხრიკოს, ასწონ-დასწონოს დირსება საბუთებისა, მათი სიმტკიცე და სიმკვიდრე და განაჩენით დაადგინოს, სად გამოაცხადოს მისმა მოხელემ დავა და სად არა. ეს კოლლეგია თავმდები იქნება იმისი, რომ უსაბუთო დავა ხაზინისა არსად არ გამოაცხადდება და ის მრავალი საქმე, რომელიც დდეს ბრკოლდება მარტო მით, რომ სახელმწიფო დავა ხშირად უმიზეზო და უსაბუთო შიგ ურევია, ბევრად შეკოტავდება და მით გამოჯვნის საქმეს ჩვენში ერთი მძიმე და შემფერხებელი უდელი აეხსნება.

ჩვენ გვახსოვს, რომ თავად აზნაურობამ ყოფილს სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ბ-ნ ასტროვსკის ქადალდი წარუდგინა ამ საგანზე და სთხოვა, იგი, რაც ჩვენ ზემოდ მოკლედ მოვიხსენიეთ ხაზინისაგან დავების ატეხის გამო. ჩვენა გვგონია, მეტი არ იქნება ბ-ნს გორემიკინს აუწყონ სხვათა შორის ეს ერთი მიზეზიც საქმეების დაბრკოლებისა და სთხოვონ, ამ მხრით, წამალი რამ დასდოს მთავრობამ ჩვენში გამოჯვნის საქმეს. ჩვენში არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა, რომ გადაჭარბებულ გულ-მოდგინებას სახელმწიფო ქონებათა მოხელისას სადაოდ გაუხდია არამც თუ გარეთი მამულები, არამედ თვითონ სახლებიც და სახლ-კარის ადგილებიც იქ, საცა ხსოვნაც არის რა ხნიდამ სახლ-კარის პატრონი უდავო-დარაბოდ და მშვიდობიანად მდგარა და დგას. აბა საცა შესაძლია ამისთანა ამბავი იქ გამოჯვნის საქმემ, რასაკვირველია, ფეტმუხლი უნდა მოიშრას სწორაფად სიარულისა.

ცვლა-გარდასხვაფერების შესახებ ლაპარაკი სკოლის ხეირს არ დაყოლის და ვერა ფოლის აპრუს ვერ გაუკეთებს საზოგადოების თვალში.

ასეთ საზოგადო მსჯელობას ყველგან კარგი ნაყოფი და დიდი სარგებლობა მოუტანია. მაგალითად, რუსეთში, როდესაც კომისიებში გარდაცემულის რომელიმე სახელმწიფოო საქმეს, სხვა-და-სხვა პროექტების ვითარება, ყოველი გარდაწყვეტილება მათ შესახებ საზოგადოებასაც ეუწყებოდა ჟურნალ-გაზეთებით, მაშინ მწერლობაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ თუ იმ საგნის განხილვაში, ასე რომ ხშირად კომისიების შეცდომა სწორდებოდა და ბოლოს საქმეც უფრო უნაკლულოდ მთავრდებოდა. როდესაც კი კომისიებში მუშაობა, საქმის წარმოება ფარული ყოფილა, მაშინ ხშირად დიდის შეცდომებით და ნაკლულევანებით გარდამწყდარა საქმე. აი სწორედ ამ აზრით ხელმძღვანელობდა რუსეთის მთავრობა შარშანდელ წლის დადგენის დროს: ყოველა საქმე,

დეპეშა

31 აგვისტო.

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა, რომ დიდის მთავარის დიმიტრი კონსტანტინეს ძის მამული „ორანდა“ მის უდიდებულესობის საკუთრებად იქმნას ჩარიცხული.

1896 წელს ქ. რიგაში მოწოდებულ იქმნება მეათე საარქიოლოგიო კრება.

ლონდონი. იაპონიის გაზეთებს ცენზურა მეტად სასტიკად ეჭიცავ. უცხოელ კორესპონდენტებს იაპონიის მთავრობამ აუკრძალა მისვლა იმ ადგილებში, სადაც ომი მოხდება. ამიტომ ჩინეთსა და იაპონიას შორის ომის შესახებ ცნობების მიღება სრულიად შეუძლებელია; ერძოდ დეპეშებსა და წერილებს იაპონიის მთავრობა სინჯავს.

იმპერატორი ხიროშიმისკენ ხუთშაბათს გაემგზავრება.

ზანზიბარი. აღმოსავლეთ აფრიკაში კილოვოს მხარეს მცხოვრებნი აუჯანყდნენ გერმანიის მთავრობას. გასულ პარასკევს 2,000 კაცი თავს დაეცა ადგილობრივს გუბერნატორს. ბრძოლამ ორ საათს გასტანა. აჯანყებულთა მხრივ მოკლულ იქმნა 100 კაცი, გერმანელთა მხრივ ზარალი მცირეა.

ახალი ამბავი

*** ოთხშაბათას, 31 აგვისტოს, საზაფხულო თეატრში (პუშკინისა) ქ-ნმა მ. გ. ძნელაძისამ და ბ-ნთ კ. ს. მესხმა და ვ. ა. აბაშიძემ გაბმართეს სამუსიკო საღამო. ქ-ნმა ძნელაძისამ რამდენიმე რომანსი იგალობა ქართულად და იტალიანურად, კ. მესხმა ბევრი აკონა საზოგადოება თავისის იმერულის სცენებით და ვ. აბაშიძემ სახუმრო კუპლეტები იმღერა. წარმოდგენს ხალხი ნაკლებად დაესწრო.

*** 30 აგვისტოს, დილის $8^1/_2$ საათზედ ტფილისის სადგურიდგან სა-

---

რომელიც უნდა გაირჩეს სახელმწიფო სასჯელში, ამიერიდგან წანდწენ უნდა გამოეხადდეს. თუ ამ საჭირო მსჯელობის დიდს მნიშვნელობას არ უარვყოფთ, მაშ ჩვენთვისაც საჭიროა ამ გზას დავადგეთ ჩვენის სკოლის საქმეში. საქმე შეიძლება ასე მოეწყოს: ვიდრე თვით მთელი მოხსენება და სკოლის პროგრამმა შემუშავდება კომისიებში, ესე იგი, ვიდრე მთლად საგნის განხილვას გაათავებენ, ყოველი იქ საერთოდ დადგენილი აზრი, ან კომისიების წევრთა წინააღმდეგი აზრები, ყოველი საყურადღებო ნაბეჭი საქმის მსჯელობისა თავის მიზეზითა და განმარტებით დრო გამოშვებით უნდა ეუწყებოდეს საზოგადოებას მწერლობის საშუალებით. ასეთი გამოცხადება გამოიწვევს შემდეგ საზოგადოების მსჯელობას, მის ასეთ თუ ისეთს შეხედულებას, იმის სამართლიანს მსჯავრს, რომლითაც, უეჭველია ისარგებლებენ თვით კომისიები. ვიმეორებთ, აქ ვხელმძღვანელობთ იმ საზოგადო კანონით, რომელიც გვეუბნება, ერთი კაცი

განგებმა მატარებლით წავიდნენ რკინის გზის უფროსის თანაშემწეს თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი ერდელი, ბალიუკევიჩი და სხვა მოხელენი; მიპატიჟებულთა შორის იყვნენ: მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ტ. ს. იაკიმოვი, ტფილისის სახელმწიფო პალატის მმართველი დ. ს. სოვ. ნავალიხინი, გენ.-მ. ინანკოვსკი, ტფილისის პოლიციმეისტერი და ადგილობრივ გაზეთების კორესპონდენტები.

მატარებელი მეთორმეტე საათზედ მივიდა ხაშურში, სადაც მოეგება ბ-ნი ფრიდე. ცოტას ხანს შეჩერდა მატარებელი და მერე ახლად გაკეთებულ ბორჯომის გზაზედ წავიდა.

ხაშურთან ფარდული იყო გაკეთებული ბაირაღებით მორთული, მატარებელი აქ გაჩერდა და გადახდილ იქნნა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღესასწაულის და ახლად დამთავრებულის გზის გამო. პარაკლისს დაესწრნენ გარდა ტფილისიდგან მისულ ხალხისა, მრავალი ადგილობრივი და მახლობელ სოფელში მცხოვრებთაგანნი. 12 საათსა და 35 წუთზედ მატარებელი წავიდა სადგურ სუმბათოვისკენ, აქედგან ბორჯომს; გზაში მუშა ხალხი „ვაშას“ ძახილით ეგებებოდა. მესამე საათზედ ბორჯომში მივიდა მატარებელი; აქ სადგურზედ 60 კაცისთვის იყო მომზადებული საუზმე. საუზმის დროს გენ. ინკოვსკიმ რამდენიმე ლექსი წარმოსთქვა. ღამის $9^1/_2$ საათზედ საგანგებო მატარებელი ბორჯომიდგან დაბრუნდა და შუადამის $3^1/_4$ საათზედ ჩამოვიდა ტფილისში.

*** ტოისი (ქისტეთი) 6 აგვისტოს, ერთი ამ სოფელი ქისტი ყმაწვილი კაცი, კვეკვაში იყო ცხენის ურმით. შინისკენ რომ დაბრუნდა, ორი ყმაწვილი ქისტი თავის სოფლელნი წამოეწივნენ და ურმაში ჩაუჯდნენ. ტოის სოფელს რომ მიახლოვდნენ, ასე ერთი ვერსის მოშორებით, შამბვით დაბურულს ალაგას, ერთმა ამხანაგმა მოულოდნელათ უკანიდგან ჩასცა ურმის პატრონს ხანჯალი, მეორე ამხანაგიც მიეშველა, გადმოიღეს მეურმე, საბრალოს ჯერ თურმე ყელი გამოსჭრეს და მერე დაუწყეს ტრა ლუკმა.

შეიძლება ასსა და ორასსა სჯობდეს ჭკუთი, განათვლებით, ცოდნით, თითოეულად რომ ავიღოთ, მაგრამ ერთად რომ შევკრიბოთ ეს უკანასკნელნი, მაშინ შესამჩნევს ძალას, ძვირფასს მასალას წარმოადგენს იმ ერთთან შედარებითაო.

ჩვენ ამ წერილში თვით სკოლის სახისა და პროგრამის შესახებ არაფერს ვიტყვით. თუ დრო და გარემოება ხელს მოგვცემს, მაშინ შეიძლება წარმოვსთქვათ რამდენიმე საზოგადო მოსაზრება ჩვენის დროის და ხალხის საჭიროებათა მიხედვით. დაწერილებით და უფრო ვრცლად გამოკვლევა-კი უფრო პედაგოგების საქმეა. ხოლო ეხლა ერთი რამ კიდევ გვაქვს სათქმელი კომისიების საყურადღებოდ. იძულებული ვართ ცოტა შორიდგან დავიწყოთ ჩვენი საუბარი, მაგრამ ეს აუცილებელი საჭიროებაა ჩვენის აზრის უკეთ გაორკვევისათვის.

თვალი რომ გარდავავლოთ ისტორიას და საზოგადოებრივ ცხოვრებას წარსულ თუ აწინდელ ჩვენის კე-

---

ლოკმად. არსაიდგან არავინ არა ჩანდა, მხოლოდ ხმაურობაზედ საიდგანღაც მოიჭრა ერთი ამავე სოფლელი დედაკაცი, რომელსაც ძუძუ-მწოვარა ყმაწვილი ეჭირა ხელში. კაცის მკვლელები დედაკაცს დაეშვარნენ, არ გაგვცეო, მაკრამ დედაკაცმა პირდაპირ უთხრა ბოროტ მომქმედთ: „ამავე საათს ამ ყმაწვილიანთ თუ ლუკმა-ლუკმა ამკუწავთ, თორემ ვერ დავფარავ თქვენს უმეტესთა საქციელსაო“. კაცის მკვლელები ეშინოთ გაიქნენ. დედაკაცმა მაშინვე გამოუცხადა ეს ამბავი და ავადმყოფი შეიპყრეს. ამბობენ, სისხლი ყოფილა დარჩენილი ძველად ამ ორს გვარშიო.

*** ქედა (ბათუმის ოლქი) ჩვენში განწესდა „ლესნიჩობა“. ქედაში ამისი სამმართველო დაიარსეს კიდეც.

*** ს. ანანური (დუშეთის მაზრა). წრეულ ანანურის მახლობელ სოფლებში სიმინდის მოსავალი ძალიან მცირეა. გვალვამ ზეგით აღარ აუშვა სიმინდი, მიწაში ჩაიწვა და არამც თუ ტარო აღარ გაიკეთა, ჩალადაც-კი აღარ ვარგა.

*** გაზ. „ტფ. ლისტ.“ შეუტყვია, რომ ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახალმწიფო ქონებათა მმართველად ს. ს. ო. ვ. მარკგრაფი იქმნება დანიშნულიო.

—

შეცდომა. გასწორება: ჩვენის გაზეთის 27 აგვისტოს მე-183 №-ის თ. ჟორდანას ფელეტონში „ახალ-სინტეზ-სისტემავანი“ ისტორიული და ხუროთ-მოძღვრებითი მეცნიერება ბ-ნ გ. წერეთლისა“, ფელეტონის მესამე სვეტის თავიდგან მეორე სტრიქონის წერტილიდგან დაწერილის ნაცვლად ასე უნდა იქმნას წაკითხული: „მაგრამ ვის გაუგონია კრიტიკა უმთარხოდ? ან სად თქმულა, რომ ლიტერატურულ „შარლატანობას“, ანუ, როგორც ერთმან მახვილ-ენოსანმა ამას წინად სთქვა, „ისტორიულს სიყალბესა და სითაღლითეს“ შოლტიც არ მიეკაროსო?“

დამაგვირდი

—

მოთმინებათ ლოდინს მხოლოდ მაშინ გისწავლათ ხოლმე, რადგანაც სულდგმული ადარა გეჯქარ-რა.

ქ-ნი მარიამ ებნერ-ეშენბახი

**

გული, სანადისთო ქნეჯნილი, ჯოჯოხეთთა; დამშეადებული, დაწეწარებული გული სამოთხეა.

იაპონური ანდაზა

**

ეკრავინ ეკერ იქმნება ბედნიერი, თუ თავისას თავის პატივისცემა არა აქვს.

ჟ. ჟ. რუსო

ნეკროლოგი

† თავადი გიორგანგ გურამაშვილი.

სამშაბათს ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა თავადი ვახტანგ გურამაშვილი. განსვენებული ცნობილი იყო მთელს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, როგორც მტკიცე პატიოსნების კაცი და ერთგული მამულიშვილი თვისის ქვეყნისა. ყველგან, სადაც კი უსახურნია თავადს ვახტანგს, დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული და კეთილშობილი, სწორე, მიუდგომელი სახე და ყოფაქცევა თავადისა ეხულაც ყველას თვალს წინ ეხატება.

განსვენებულმა მთელი თვისი სიცოცხლე სახელმწიფო სამსახურში გაატარა, მაგრამ ბუნებითვე კარგად დაჯილდოვებული თავადი ვახტანგი ასცდა იმ ერთ გვარ მოხელეთათვის ჩვეულებრივს არა სანატელს ბეჭედს, რომელსაც ხანგრძლივი სამსახური ასომს თითქმის ყოველს მოხელეს.

ეს ბეჭედი არის უიმედობა მომავალისა და გულგრილობა თავის ერის წარმატების შესახებ. საბედნიეროდ ღა სასახელოდ, არც ერთი ეს ნაკლულევანება განსვენებულს არ დაჰყოლია და 74-ის წლის ვახტანგ გურამიშვილს ისე ძლიერად უძგერდა გული თავისის სამშობლოს ბედნიერის მომავლისათვის, ისე სწამდა აღყვავება ქართველის ერისა, როგორც ახალგაზდა, გატაცებულს ყმაწვილ კაცს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო და მხნე ქართველო!..

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

აბისი (გორის მაზრა): ამას წინად „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო თავად ამირეჯიბისა და რამინიშვილის შესახებ, ვითომ მამული სადაო იყოო. ეს მართალი არ არის, მამული ამირეჯიბის საკუთრებაა, რასაც, უეჭველ-

---

წოდებათა განურჩევლად. მაგალითებრ ჩვენის ისტორიის ახალი ხანა რომ მოვიგონოთო, რას ვნახავთ? მწიგნობარი იყო თუ მწერალი, ეს უეჭველად ან თვით მეფე იყო ან მისი შთამომავლობის თუ დიდი გვარიშვილობის კაცი გახლდათ; სარდალიც ამ გვართაგანი უნდა ყოფილიყო, ხელმწიფის უკეთესი მოთათბირე ისევ ის მაღალის წოდების კაცი იყო. ასე და ამ რიგად თვით ისტორიამ თითქო ვალად დააკისრა თავად-აზნაურობას ეს დიდი მისსია—ხალხის ბელადად ყოფნა, ისისთვის ზრუნვა.

დადგა მეცხრამეტე საუკუნე თუ არა, ჩვენმა კეთილშობილთა წოდებამ თავისი ძველი მნიშვნელობა დაჰკარგა. მაგრამ იქ-კი, სადაც ხელი მიეწვდებოდა, შეძლებისამებრ იღწოდა მონაწილეობდა ყოველ საერთო და არა მხოლოდ სათავად-აზნაურო საქმეში. წარმოიდგინეთ, ამ საუკუნის ძველი და ახალი ლიტერატურა თითქმის მთლად თავად-აზნაურობამ შეჰქმნა. თავადნი ორბელიანნი, ჭავჭავაძენი, ბარათაშვილნი, ერისთავები,

ლია, გამოძიებაც აღმოაჩენს. მხოლოდ კვალიაშვილის მოურავი ეს ორი წელიწადია მოსვენებას არ აძლევდა და უნდოდა ეს ამირეჯიბის მამული კვალიაშვილისათვის დაესაკუთრებინა. ამ ზაფხულს, როდესაც გიოჭრა ყანები, ეს მიწა ეჭირა ნიკო გოგოლაძეს ამირეჯიბისაგან საღალედ და მოსჭრა კიდეც ნიკო გოგოლაძემ. ამ დროს ამირეჯიბი ქალაქში იმყოფებოდა და რაკი რამინიშვილმა ეს შეიტყო, მაშინვე წაიყვანა კვალიაშვილის ურმები და ძნა მოიტაცა. როდესაც ძნას იტაცებდა, გოგოლაძემ თავისს მებატონეს შეატყობინა, ძნასა მტაცებს კვალიაშვილის მოურავი. ამირეჯიბი არ იმყოფებოდა სახლში და სახლობამ შეუთვალა, მოიკადე, სახლში არ არის, მოვა და თითონ გაგისწორდებაო.

რამინაშვილმა ამ გვარად წაიღო ძნა. ამოვიდა ამირეჯიბი ქალაქიდგან, შეატყობინა ბოქაულს ტერ-აკოფოვს და ტერ-აკოფოვის ბრძანებით ძნა ისევ ჩამოუტანეს თითონ კვალიაშვილის კაცებმა ამირეჯიბს. არ გასულა სამი კვირა და მივიდა რამინიშვილი ისევ იმ მამულში, მიიყვანა ხალხი, შეაბა კავები და დაუწყო ამ ამირეჯიბის ნაწვერალს აკვება. აბა ვის გაუგონია აგვისტოში კავები, მაგრამ მიზეზი თუ უნდოდათ მიეცათ. კიდევ შეატყობინა ამირეჯიბს მოღალე გოგოლაძემ, ბატონო, კავები უბით შენს მიწაშია. ამირეჯიბმა სთქვა, ამ დროს კავი ვის გაუგონია, წავალ ერთი ვნახავ. იქნება ტყუილიაო და როგორც გომში იყო, ისევ იმ იარაღით მივიდა თავის მამულში. ნახა, რომ მართლა ჰხნავდნენ. ხალხმა ხელს თავი დაანებეს, ვიცით, რომ ამირეჯიბისაა ეს მამული და ჩვენ რად შევებრძოლებითო. მოურავი არ მოშორდა და შიგვე ამირეჯიბის მამულში შეიარაღებული ემუქრებოდა, თუ მომეკარე გაგათავებო. ამირეჯიბი მივიდა და სთხოვა: შენ გამშორდი, რად მაძლევ სისხლს, სად არის ვინც მედავება, მოვიდეს, იმას გავუსწორდებიო. არა, აქ მე ვარ ბატონო, უპასუხა მოურავმა. მაშინ ამირეჯიბის მეეტლე მივიდა და დამშვიდება დაუწყო მოურავს, ბიჭო, მოშორდი, რათ აძლევ სისხლსაო. ახლა მეეტლეს შემოუტია, მომშორდი, თორემ შენ მოგკლავ მაგათ მაგიერადაო. წავიდა უკან-უკან, გაიმართა თოფი და დაუმიზნა ამირეჯიბს. შემოსცა თუ არა ფეხზედ თოფი, მეეტლემ დაჭარა კეტი თოფს. იმას რომ არ დაეკარა კეტი, ამირეჯიბი ვერ გადარჩებოდა. სანამ მეეტლემ კეტი დაჭარა თოფს, ამირეჯიბმა დაასწრო და გაარტყა მარჯვენა ვეერდში ტყვია. აი, დაწვრილებით ეს ამბავი.

დამსწრე

სოფ. ᲧᲐᲪᲘ: ს. წაღვლში კომისიის მოსვლის შემდეგ, ეკკლესიის გარეშემო მინდორი, რომელიც თავ. ამირეჯიბებისაა, უკანასკნელთ მეოხებით, შეირიცხა საეკკლესიოდ, სადაც დაფუძნებულ იქმნა სასაფლაო. წაღვლის სამრეველოს მღვდელს სალარაძეს დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული სასაფლაოზედ და სცდილობდა, რომ სასაფლაო სუფთად ყოფილიყო. მრავალჯერ სთხოვა ადგილობრივ მოხელეთ, საჭირო ყურადღება მიაქციეთ სასაფლაოსო, მაგრამ ყოველივე თხოვნა მღვდლისა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". დაინიშნენ ახალნი მოხელენი და მ. სალარაძეც სიხარულით მოელოდა მათ დამტკიცებას, რადგანაც იმედი ჰქონდა, ესენი მაინც შესრულებენ ჩემს თხოვნასაო. მართლაც არ უმტყუნა იმედმა. ახალმა მამასახლისმა ყურადღება მიაქცია ეკკლესიის გარემო ადგილისა და სასაფლაოს სისუფთავეს. ახალი მამასახლისი ბეჯითად შეუდგა საქმეს და მალე მისის მეოხებით მოისპო ის უწესობა და ჩვეულებანი, რომელიც გამეფებულიყო წაღვლელებთ შორის. უკანასკნელნი არ ეუბნიკათ ასეთი მოხელე და თავ-ჩაღუნულ-ჩაქინდრულნი დაიარებოდნენ და მუდამ მათ შორის ჰნახავდით ისეთ კაცებს, რომელნიც ცდილობდნენ ახალი მამასახლისი გაეძევებინათ და მათ უმსგავს წყობილებას კვლავ ფესვი გაედგა; რომ ვერას გახდნენ თავიანთის მითქმა-მოთქმით, ჩამოჰყარეს ყურები და ბოლოს დაუწყეს მღვდელს დაბეზღება, ვითომ მას აღეკრძალოს მთელს საყდრის მინდორზედ გაავა ხალხისა და საქონლისაო. მაგრამ, როდესაც მთავრობამ ჰნახა სასაფლაოსი და ეკკლესიის გარემო ადგილების სისუფთავე, დიდი მადლობა გადაუხადა მ. სალარაძეს და მამასახლისს, რომელმაც ამ შვიდის თვის განმავლობაში ყველას გააცნო თავისი სიმამაცე და სასარგებლო მოღვაწეობა საზოგადოების საქმეში.

ე. ღუდეშვილი

სოფ. ᲧᲘᲚᲙᲐᲜᲘ. 25 აგვისტოს. ძნის დაწვამ შესამჩნევათ იმოქმედა და გამოაფხიზლა თავ შეუდგარი გლეხობა, რომელმაც მაშინვე მოისურვა სოფლის მაზარალებელი კაცების საუკუნოთ გაძევება. საქმე მიანდეს ამორჩეულ კაცებს; ამათაც შეადგინეს განაჩენი ექვსი კაცის გადასახლების შესახებ, გლეხებმა ხელი მოაწერეს განაჩენზედ და წარუდგინეს მაზრის უფროსსა. მაგრამ, რადგანაც განაჩენი უფორმო და უკანონო გამოდგა, მთავრობამ არ შეიწყნარა. მაზრის უფროსმა გარდასცა სოფლის მედიატორებს წესები და უბრძანა: განაჩენის შედგენის დროს ამითი იხელმძღვანელეთო. 15 აგვისტოს ხელ-ახლად შეიკრიბა სოფელი. ყრილობამ საქმის დასაბოლოვებლად ამოირჩია ექვსი კაცი და აძასთანავე დაასახელა სამი კაცი, რომლებზედაც მედიატორებს უნდა შეედგინათ კანონიერი განაჩენი. ჩვეულებისამებრ მედიატორების რჩევაში ჩაერიენენ ზოგიერთ უკეულმართები და განაჩენი შედგენილს მხოლოდ ერთ კაცზედ, რომელსაც ჰბრალდება ქათმების მოპარვა, ერთის გლეხის საბძლის დაწვა და თავისი ძმის ვაზების გაკაფვა.

ახლა-კი ვფიქრობდით, ეგ ეგ არის გზა გავიკვლიეთო: ერთის ბოროტების აღმოფხვრა მეორეს და მესამესაც რიგით თან მივაყოლებთ და ამ გვარად სოფელში ბშვიდობიანობა ჩამოვარდებაო. მაგრამ შეიტყო თუ არა ბრალდებულმა ყრილობის გარდაწყვეტილება, მაშინათვე, ამხანაგების რჩევით, შეიარაღებული მიუხდა მედიატორებს და სხვებსაც ბევრს ემუქრებოდა, ხალხი შეშინდა, შეფიქრიანდა და ერთმანეთს-ღა სდებდენ ბრალსა. დამაშავეს წინაშე ყველა თავს ჰმართლულობდა, ყველა უპასუხებდა, რომ მაგ საქმეში არ გავრეულვარ, რადგანაც შენი კაი კაცობის მეტი არა მომგონდებარაო. ამით ისარგებლეს ბოროტმომქმედის თანამგრძნობლებმა და სწორედ გუშინ საღამოს გამართეს ლითიბრ განა ასე არ მოეწყო საქმე ახლად დაარსებულ ქუთაისის სამეურნეო სკოლაში, სადაც ორივე წოდების შვილები იზრდებიან ორივე წოდებისგანვე გამოდებულის ხარჯით? თორემ აბა ასეთი უპირატესობა რას მიქვინ? თაოსნობა შეიძლება და, არამც თუ შეიძლება, უნდა იყოს კიდეც ამისთანა საზოგადო საქმეებში, როგორც სასწავლებლების დაარსებაა, თავად-აზნაურობისა, რადგან იმას უფრო მეტი ყოველმხრივი ძალა და ღონისძიება აქვს, მაგრამ ეს უფლებას არ აძლევს მისმიერ დაწყებულ საქმის ნაყოფით სარგებლობა ერთს წოდებას აგვმოს და გლეხთა შვილებს ამ სასწავლებელში შესვლა აუკრძალონ.

დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში წოდებრივი გარჩევა არც-კი არსებობს, სწავლა-განათლების საქმეში ხომ სრულიად შეუძლებელია ერთის წოდების განსხვავება მეორესაგან. ეს საკვირველიც იქმნებოდა ამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, როდესაც ყველგან და მუდამ თანასწორობის დედა-აზრს ჰქადაგებენ. შეიძლება რომელსმე ერს ჰქონდეს იმისთანა სასწავლებელიც, რომელიც განსაკუთრებით ერთის რომელიმე წოდებისთვის იყოს დანიშნული, მაგრამ ეს არავისათვის საზარალო არ არის. მხოლოდ მაშინ თუ იმავე ერს სხვა ყველასათვის მისაწვდენი, ყოველ მსურველისათვის ღია სასწავლებლებიც ბევრი მოეპოვება. ჩვენ-კი ერთი სასწავლებელი დავიარსეთ და აქაც წოდებრივი გარჩევა შევიტანეთ. ასეთი ერთ მხრივი, ესე იგი საზოგადოების ერთის ნაწილის განათლება ერს მაღლა ვერ ასწევს. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენში ახლა იმისთანა სოფელში, სადაც თავად-აზნაურობა მოსახლეობს, საკმაო რიცხვს შეხვდებით არამც თუ საშუალო სასწავლებლებში მყოფთ, არამედ უმაღლეს სწავლა-დამთავრებულთა-კი. იმის გვერდით-კი სოფელი, სადაც მაღალი წოდების ჭაბანება არ არის და განსაკუთრებით გლეხ-კაცობა მკვიდრობს, სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა
eberovnuli.com

წერეთლები და სხ. აი ვინ იღვწოდა, იღვწის ეხლაც სალიტერატურო ასპარეზზედ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: მეტი შეძლება ნივთიერი თუ სხვა გვარი, მეტი ღონისძიება სწავლა-განათლების მიღებისა მის ხელში იყო და არის ეხლაც სხვა წოდებასთან შედარებით. თუ ძველი და ახალი თავად-აზნაურობა სულ მუდამ მთელის ერის ზრუნვაში იყო და ეხლაც ამ მხრივ მეთაური იგია, რაღაა მიზეზი ერთის სწორედ შეუსაბამო გარემოებისა—სწავლა-განათლების საქმეში წოდებრივის სასიათის შეტანისა. როგორც მოგეხსენებათ, ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლებში მხოლოდ თავად-აზნაურთა შვილებს იღებენ. ეს სკოლები დაარსდა იმ აზრით, რომ ცოტა არ იყოს შეღავათი მისცემოდა თავად-აზნაურობას შვილების აღზრდაში, რომელთა უმეტესობისათვის შეუძლებლობის თუ სხვა მიზეზების გამო დაბშულია მთავრობის სასწავლებლების კარები, მაგრამ ამ გვარსვე გარემოებაში და უარესშიაც ხომ გლეხ-კაცთა შვილებიც იმყოფებიან? თუ ეს ასეა, მაშინ თუ ჩვენთვის ორივე წოდების აღზრდა-განათლება თანასწორი არ უნდა იყოს? განა ერთნაირად ძვირფასი არ არის ერთი წოდებაც და მეორეც? განა საკვირველი არ არის, რომ ის თავად-აზნაურობა, რომელსაც, როგორც ვსთქვით, ამდენი ღვაწლი მიუღია ჩვენს წარსულს ცხოვრებაში, დასდგომია განკერძოებულ მიმართულებას სწავლა-აღზრდის საქმეში? შეიძლება ვინმემ გვიპასუხოს, რომ ეს სკოლები დაარსებულია და ინახება თავად-აზნაურთა საშუალებით, მაშასადამე სკოლებიც იმათ უნდა ეკუთნოდეთო. ასეთი საბუთი განა შესაწყნარებელია? განა არ შეიძლებოდა მაინც-და-მაინც ამ გვარი ბეგარა გლეხ-კაცობისთვისაც დაედვათ სკოლის შესანახად, როგორც თითონ თავად-აზნაურობასაც აწევს ამ საქმის გაძღოლისათვის, ოღონდაც ამ დაბით წოდების შვილებისათვისაც მიეცათ საშუალება სწავლის მიღებისა? მაგალითებრ, ერთ-ერთ ადგილას, ერთ-ერთ ადგილზედ, ერთ-ერთ ოჯახში ერთ-ერთ ბავშვს, ერთ-ერთ ბიჭს, ერთ-ერთ ბაბუა-ბერს, ერთ-ერთ ბებერ-ბებერ ბებერ-ბებერ ბებერ-ბებერ

საფარს შემოსავალიც მოემატება და ბავშვებიც უფრო მკოდნე და მომზადებულნი გამოვლენ თავ-შესაფრიდგან და თავის ოჯოხს ყველგან მოჰფენენ და ამ გვარად გამოადგებიან ერსაცა და სახელმწიფოსაც.

აშკარაა, რომ სახელმწიფო და ერი არაფერს არ იზარალებს, რომ ამ გვარი თავ-შესაფრები გამართოს და თუნდაც ყოველ წლივ თავისი ფული დაადოს ამ საქმეს, რადგანაც მომავალში უმეწო და უნუგეშოდ დარჩენილი ბავშვები ავაზაკებად-კი არ გადაიქცევიან, როგორც ეხლა, არამედ დიდს სამსახურს გაუწევენ თავის ქვეყანას.

რუსეთი

სახელმწიფო საბჭოში შეტანილია პროექტი სავსებით შემუშავებულის დებულებისა გარდაცვალებულთა ქონებაში სავალდებულო სამკვიდრო ნაწილის დადგენის შესახებ. დადგენილია წესი, რომლითაც რომელი-სამე ქონების მფლობელი ვალდებულია არა თუ მარტო სიცოცხლის დროს გამოჰკვეთოს და აღზარდოს თავისი შვილები, არამედ თავისის სიკვდილის შემდეგაც უზრუნველჰყოს იგინი მის მფლობელობაში მყოფ ქონებით. ამის გამო აღრიცხულია სამემკვიდრეო ნაწილი, რომელიც შვილებს მიეცემათ, ქონების პატრონის მამის სურვილისა და ანდერძის წერილის დამოუკიდებლად, თუნდა ამ ანდერძის წერილით ქონება სხვასაცა ჰქონდეს ნაანდერძევი.

—

ამ ცოტას ხანში გარდაიცვალა ბესსარაბიის გუბერნიის ბენდერსკის მაზრის მიწად-მომქმედი ფ. ფ. კრუპენსკი, რომელიც ერობის ერთი ძველის-ძველ ხმოსანთაგანი იყო. კრუპენსკის მთელი თავისი ქონება შინაურის ანდერძით შესწირა საქველ-მოქმედო საქმეს. საქველ-მოქმედოდ ეს ფული მაშინ იქმნება გამოყენებული, როდესაც გარდაიცვლება იმისი და, რომელმაც უნდა ისარგებლოს ამ ქონებით, მანამ ცოცხალია. ბენდერის ერობამ უნდა ჩაიბაროს განსვენებულის მამული—8,100 დესეტინა და ერთ მილიონამდე ფული იმ პირობით, რომ ამ მამულში დაარსდეს საავადმყოფო. რაც ამ საავადმყოფოს დაარსებას გადარჩება, ერობამ უნდა მოანდომოს სხვა და სხვა საკეთილო საქმეს, ესე იგი სკოლას, თავშესაფარს სახლსა და სხვ. 200,000 მან. ნაანდერძევია სტიპენდიებისთვის. გარდა ამისა, 600,000 მანეთამდე ნაანდერძევია საკალაქო საავადმყოფოსთვის. ამ საქმეების გასაძღოლად ჰსურთ დაარსონ კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ერობისა და თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი.

—

ვარშავის გაზეთების სიტყვით, ამ უკანასკნელს ხანებში იქ ძალიან გავრცელდა თუმრე ყლში თუმნიანები. ეს ფული 1892 წლისაა და ნომრებად აწერია: A. G. № 169,525; A. B; № 734,984, და A. C., № 754,531.

—

გაზეთები ამბობენ, რომ მიწად-მოქმედებისა და ფინანსთა სამინისტრო აპირებენ მოილაპარაკონ იმის შესახებ, რა პირობებით შეიძლებელია მიეცეთ სოფლის მეურნეთა სესხი მსხვილ საქონელზედაო.

—

ზოგიერთ უწყებაში განზრახვა აქვთ აუკრძალონ უცხოელთ კოვალსიაში ახალშენების გამართვა და დასახლება.

—

მეურნეობის სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს ორი დედათა სამეურნეო სასწავლებელი: ერთი ჩრდილოეთ მხარესთვის, სადაც გავრცელებულია საქონლის მოშენება, და მეორეც—სამხრეთ მხარეში, სადაც მომეტებულად მისდევენ მიწად-მოქმედებას და ბაღოსნობას.

—

ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკის ვაჭრობას თან და თან აკლდება. სამანუფაქტურო ქარხნების პატრონებმა უკვე გაათავეს თავიანთი საქმეები და ეხლა მხოლოდ ანგარიშის გასასწორებლად არიან ნიჟნი-ნოვგოროდში. ჩითი ძლიერ ბევრი გაიყიდა. უმთავრესი მოგება წილად შეხვდათ საქსოვ ქარხნების პატრონებს. ამ ჟამად რუსეთში არც ერთი საქმე არ არის ისე სახეირო, როგოც საქსოვ ქარხნებისა, რადგანაც საქსოვი ქარხანა ძლიერ ცოტა არის და კონკურენცია თითქმის არ არსებობს. ამ საქმეს მოაქეს 20-23% წმინდა მოგება.

უცხოეთი

ბულგარია. ვარნაში მინისტერ პრეზიდენტმა სტოილოვმა წარმოსთქვა სიტყვა და გამოაცხადა თავისი პროგრამა. სტოილოვმა სთქვა: ეხლანდელ მთავრობას უპირველესს მოვალეობად მიაჩნია პატივისცემა და შეწყარება მოქალაქეთა უფლებისა და თავისუფლებისა და უმეტ-ნაკლებად ასრულება კონსტიტუციისა და კანონისა. სტოილოვი აღიარებს, საჭიროა შეიცვალოს კანონები ჟურნალ-გაზეთების შესახებ, შემცირდეს სახელმწიფოს ხარჯი, გათანასწორებულ იქმნას სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი და უფრო რიგიანად და სამართლიანად განაწილებულ იქმნას სახელმწიფო გარდასახადი. რაც შეეხება გარეშე პოლიტიკას, სტოილოვი მეტად ჰკიცხავს საქციელს სტამბულოვის მთავრობისას, რომელიც ისე მოუფიქრებლად რუსეთის წინააღმდეგ იქცეოდა. აწინდელ მთავრობასაო, სთქვა სტოილოვმა, ფიქრადაც არა აქვს, რომელსამე სახელმწიფოს თავი მოუხაროს და მფარველობა სთხოვოს და ამისთვის დასთმოს თავისი უფლებანი და დამოუკიდებლობა. ამიტომ იგი არც არას რუსეთს დაუთმობს, ეგება ეს სახელმწიფო შევრიეკოვო. სხვათა შორის ბულგარიის ჯარი არასოდეს უცხო ხელში არ იქმნება. მინისტრის აზრით, ნამდვილი ლიბერალური შინაგანი პოლიტიკა, საეკონომიო ვითარების განკარგება, მეზობელ სახელმწიფოებთან პატიოსანი დამოკიდებულება მხოლოდ იქამდე მივეყვანს, რომ უმთავრესი სახელმწიფონი ბულგარიას თავის თანაგრძნობას არ მოაკლებენ და იქმნება ბულგარიის საქმე უფრო მალე გადაწყდეს, ვიდრე ეხლა ჰფიქრობენ.

პეტერბურგის ბირჟა, 3 აგვისტო.

	ყიდველის.	გამყიდ-ველის.	ბოლოს ფასის.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ზუთ-მანთიანი ოქრო .	— ,,	— ,,	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	148	149	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	239½	— ,,	— ,,
—მეორისა	— ,,	— ,,	225¾
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	192½
გრაფობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	101½	— ,,	— ,,
5%	— ,,	100	— ,,
ქუთაისის ბანკის 6%.	101½	— ,,	— ,,
5%.	— ,,	100½	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	99¼	— ,,

განცხადებანი

პირველი კერძო სამეურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა,

დილობობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სპირს სნეულებანი: სახიერურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. ბ. რუდგოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ა. ფ. ბროტასეგოჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ს. მ. ტურბოგოჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ს. ბურგო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ვ. ი. ფრანტიუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერიფასი ათი შაურ; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამეურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

ᲗᲘ. Ა. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

გამოვიდა ᲥᲘᲡᲘᲜᲓᲝᲡ

ᲥᲐᲜᲗᲔᲝᲜᲘ

ქართული თეატრისა

ᲬᲘᲒᲜᲘ I

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡ:

იკვიანი—ვოდევილი 1 მოქმედ.
ᲑᲔᲚᲘ ᲝᲗᲐᲮᲘᲨᲘ—ვოდ. 1 მოქმ.
ᲐᲮᲘᲠᲘᲠᲣᲚᲘᲐ—ვოდ. 1 მოქმ.

ფასი 30 კაპ.

(10—მ—1)

ვერცხლისა



ოქ



ტფილ. გამოფენა.



ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

Ა. Ა. ᲗᲣᲗᲐᲔᲕᲘᲡᲐ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲘᲐᲠᲛᲣᲙᲘᲡᲖᲔ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვიუწყებ ტფილისის პატიცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვალევ სიტყვას, უკზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შელებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფერად, მასხედის ხადზედ, რომლიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოევის სახლის კრშა მეკუნე ფარად-ედანგთ, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიკის ფერად ბეტონის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, ბენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც გუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—12 ალალო თუთაევი

РЕДАКЦІЕЙ „ВѢСТНИКА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ ПРЕДПРИНЯТО

НОВОЕ ОБЩЕДОСТУПНОЕ ИЗДАНІЕ

собранія сочиненій избранныхъ иностранныхъ писателей.

Цѣль этого изданія дать возможность русской читающей публикѣ пріобрѣтать **ПО НЕБЫВАЛО УДЕШЕВЛЕННОЙ ЦѢНѢ** сочиненія образцовыхъ иностранныхъ писателей, собранныя вмѣстѣ въ соотвѣтственномъ числѣ томовъ удобнаго формата, доброкачественной внѣшности, въ безукоризненныхъ переводахъ, сдѣланныхъ впервые и заново. Ежемѣсячно 15-го числа будетъ выпускаться по два тома сразу, что составитъ **ВЪ ГОДЪ 24 ТОМА** (не менѣе 480 листовъ или около 8,000 страницъ въ 8-ю долю). Такимъ образомъ подписчики на это изданіе постепенно, въ непродолжительномъ времени, могутъ составить себѣ цѣлую библіотеку произведеній главныхъ и выдающихся корифеевъ всемірной литературы.

Въ настоящее время ОТКРЫТА ПОДПИСКА НА:

1) **СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ АЛЬФОНСА ДОДЭ**

въ 12-ти томахъ.

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ **3 р.** съ доставкой и пересылкой **4 р.**

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

2) **СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ТЕККЕРЕЯ**

въ 12-ти томахъ.

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ **3 р.** съ доставкой и пересылкой **4 р.**

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

Подписывающіеся на оба изданія вмѣстѣ (цѣна 6 р., съ доставкой и пересылкой 8 р.) **пользуются разсрочкой** платежа при подпискѣ вносится 3 р., 15 декабря 1894 г. 3 р., а 2 р. за доставку и пересылку 15 марта 1895 г.

Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за ручательствомъ гг. казначеевъ.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ редакціи «Вѣстника Иностранной Литературы», С.-Петербургъ, Верейская ул. (собствен. д.) и въ конт. редакціи—Гостиный дв. Зеркальная л., 63, магаз. Пантелеева (прот. Пажескаго корпуса); въ Москвѣ—въ конторѣ Печковской, Петровскія линіи.

Редакторъ Ѳ. И. Булгаковъ. Издатель Г. Ѳ. Пантелеевъ.

(8—1)

Дозволено цензурою Тифлисъ, 1-го Сентября 1894 г. სტამბა მ. შარიმანის და ამხანაგებისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.